

თბილისის მერიის განათლების მთავარი სამმართველო
თბილისის მასშავლებელთა დახელოვნებისა და
განათლების სისტემის მეთოდური უზრუნველყოფის
ინსტიტუტი

ახალი ისტორიის სწავლება
მერვე კლასში

მეთოდური რეკომენდაციები

"Методическое пособие по
изучению новой истории

в 7 классе"

Алима Тахирелидзе

GE Z-5(1,97)

Axali istoriis suavleba mervi klassi: met'oduri rekomendac'iebi. - T'bilisi,
1997. - 50 S.

Deutsche Titelfassung: Unterricht in der neuen Geschichte, 8. Klasse,
methodische Empfehlungen
Lehrermaterial für d. Kl. 8

98/1040

რედაქტორი - პროფესორი ნაირა მამუკელაშვილი

GE
Z-5(1,97)

შეძღვენელი - ლეილა გამყრელიძე,
თბილისის მასწავლებელთა დახელოვნებისა და
განათლების სისტემის მეთოდური უზრუნველ-
ყოფის ინსტიტუტის ისტორიის ლაბორატორიის
გამგე

რედაქტორი - პროფესორი ნაირა მამუკაშვილი

67
L-5(1,97)

ბანმარტაპითი ბარათი

გაკვეთილს სამართლიანად უწოდებენ მეთოდუკას მოქმედებაში. იგი წარმოადგენს სწავლების მეცნიერული საფუძვლების და სწავლების ხელოვნების (მეთოდუკის) სინთეზს. ასეთი სინთეზის მიღწევაში, მასწავლებლებს ერთგვარ დახმარებას გაუწევს ჩვენს მიერ შემოთავაზებული VIII კლასის ახალი ისტორიის სახელმძღვანელოს (ავტ. პ. როფ. ნ. მამუკელაშვილი) მიხედვით შედგენილი ახალი ტიპის გაკვეთილების გეგმა-კონსპექტი. მასწავლებლის ყურადღება გვსურს გავამახვილოთ შემდეგი ტიპის გაკვეთილებზე:

1. ახალი ტიპის კომბინირებული გაკვეთილი
2. ლექცია-კომბინირებული გაკვეთილი
3. გამეორება-განზოგადების გაკვეთილი

ცნობილია, რომ სასწავლო გეგმის მიხედვით მერვე კლასში, ახალი ისტორიის სწავლებას დათმობილი აქვს 1 სთ. კვირაში, წელიწადში 34 საათი, მათ შორის 4 საგაკვეთილო საათი ეთმობა შემაჯამებელ მეცადინეობას.

რეკომენდაციაში შეტანილია საპროგრამო მასალის თემატური გეგმით გათვალისწინებული 20 გაკვეთილის გეგმა-კონსპექტი შემდეგი თემებით:

1. მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაცია
2. ისტორიული წყაროები
3. ამერიკის შეერთებული შტატები
5. რუსეთი XVII საუკუნის მიწურულიდან XIX საუკუნის დასაწყისამდე
7. თურქეთი XVII საუკუნის მიწურულიდან 1813 წლამდე
8. გერმანია XVII საუკუნეში

9. საფრანგეთის დიდი რევოლუცია

10. ნაპოლეონის ეპოქა

11. ვენის კონგრესი. „საღმთო კავშირი“.

10 გაკვეთილის საპროგრამო მასალის თემატიკა კი მასწავლებელს საშუალებას აძლევს დამოუკიდებლად გადაწყვიტოს თუ როგორი ტიპის გაკვეთილები ჩაატაროს.

რეკომენდაციები მასწავლებელს დაეხმარება თავის მუშაობის პრაქტიკაში დანერგოს საგნის სწავლების თანამედროვე მეთოდები და ხერხები. ამავე დროს იგი არ ზღუდავს მასწავლებლის ინიციატივას პედაგოგიურ პრაქტიკაში გამოიყენოს მისთვის მისაღები მეთოდები და ხერხები.

Georg-Eckert-Institut
für internationale
Schulbuchforschung
Braunschweig
-Schulbuchbibliothek -

38/1040

თემა - 1. მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაცია

თემის სწავლების მეთოდი: 1. ლექცია-კომბინირებული, 2. კომბინირებული გაკვეთილი.

თემის შესწავლას გარკვეული სირთულეები ახლავს, ამიტომ მასწავლებელი გულმოდგინედ უნდა გაეცნოს თემის ძირითად ტექსტს და დანართს, რომელიც მეტად საინტერესო მასალას იძლევა. საქართველოს ისტორიიდან მოსწავლეებს შეახსენებს უძველესი დამწერლობის განვითარების ეტაპებს, დამწერლობის უძველეს ძეგლებს, ჰეროდოტეს „ისტორიის“ ძირითად საკითხებს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს, მოსწავლეთათვის სრულიად უცნობ, მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციის მოდელებს.

თემის შესწავლის ნებისმიერი მეთოდის გამოყენებისას საჭიროა თემის ძირითადი საკითხების ჩამოყალიბება, მაგალითად:

სწავლების ლექცია-კომბინირებული მეთოდი.

1. გაკვეთილი. ლექცია-საუბარი

1. ზეპირი ისტორიული წყაროები.
2. შუმერთა და ბაბილონელთა ლურსმული დამწერლობა.
3. იეროგლიფური დამწერლობის სირთულე.
4. ფინიკიელთა ანბანური დამწერლობა.
5. პირველი წერილობითი ძეგლები.
6. ისტორიის პერიოდიზაცია სამეფო დინასტიების მიხედვით.
7. კლავდიუს პტელემეაიოსის პერიოდიზაციის პრინციპები.
8. მსოფლიო ისტორიის სამწვეროვანი პერიოდიზაცია (დანართი).
9. მსოფლიო ისტორიის თანამედროვე პერიოდიზაცია.

II. გაკვეთილი – მოსწავლეთა ცოდნის შეფასება და ცალკეული საკითხების გაღრმავება შემდეგი პრობლემური კითხვების დახმარებით:

1. რატომ არ შეიძლება ზეპირ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობა?

2. რა განსხვავებაა ლურსმულ და იეროგლიფურ დამწერლობას შორის?

3. რომელი ერების დამწერლობას დაედო საფუძვლად ფინიკიური ანბანი.

4. ჩამოთვალეთ პირველი ისტორიული წერილობითი ძეგლები.

5. რომელი უძველესი სამეცნიერო და მხატვრული ნაწარმოებები იცით?

6. რატომ არ შეიძლება ისტორიის პერიოდიზაცია სამეფო დინასტიების მიხედვით? დაასაბუთეთ.

7. როგორი პრინციპით არის ჩამოყალიბებული პტელემაიოსის პერიოდიზაცია?

8. ჩამოაყალიბეთ მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციის თანამედროვე მოდელი.

სწავლების კომბინირებული მეთოდი

მასწავლებელი, საკუთარი მოსაზრებით, შემოთავაზებულ ძირითად საკითხებს გაყოფს ორ ნაწილად. შესაბამისად შეისწავლის პირველ და მეორე გაკვეთილზე. ორივე გაკვეთილზე მოხდება მოსწავლეთა ცოდნის შეფასება.

პირველ გაკვეთილზე შეისწავლება თემის პირველი და მეორე პარაგრაფები, ახალი მასალის განმტკიცება მოხდება შესატყვისი პრობლემური კითხვების დახმარებით და აქვე მასწავლებელი მოსწავლეთა ცოდნასაც შეაფასებს.

მეორე გაკვეთილზე შეისწავლება თემის მესამე პარაგრაფი, მოხდება თემის ყველა პრობლემური საკითხების განმტკიცება და მოსწავლეთა ცოდნის შეფასება.

საკითხის – „მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაცია“ შესწავლისა და განმტკიცების მიზნით მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს: 1) სახელმძღვანელოში მოცემული სქემა ან 2) მისი განსხვავებული ვარიანტი.

მსოფლიო ისტორიის ოთხწვეროვანი დანაწილება

II ს. ჩვ. წ. ა. XV ს-მდე				XV საუკუნიდან – დღემდე			
ასურეთ-ბაბილონი	მიდია-სპარსეთი	საბერძნეთი-მაკედონია	რომი	ძველი ისტორია	შუა საუკუნეების ისტორია	ახალი ისტორია	უახლესი ისტორია

სქემის გამოყენება შეიძლება თემის ნებისმიერი მეთოდით შესწავლისას. მასწავლებელს შეუძლია დაავალოს მოსწავლეებს სქემის სამუშაო რვეულში გადატანაც.

თემის დანართი „რომის იმპერიის მემკვიდრეები დასავლეთ ევროპაში“ შესანიშნავად აღწერს საქართველოს მონაწილეობას რომის მემკვიდრეობისთვის ბრძოლაში.

როდესაც მოსწავლეები ჯერ კიდევ არ იცნობენ X-XV სს-ბის საქართველოში მიმდინარე ისტორიულ პროცესებს მასწავლებელი დანართის საკვანძო საკითხებს მოსწავლეებს გააცნობს ისტორიულ მოვლენათა გაანალიზების მეთოდით.

საშინაო დავალების ფორმა და დოზირება თვით მასწავლებელმა შეარჩიოს.

თემა - 2. ისტორიის წყაროები

თემის სწავლების მეთოდი – კომბინირებული გაკვეთილი მოსწავლეთა აქტივიზაციის ხერხების გამოყენებით.

თემის საორიენტაციო საკითხები:

1. ისტორიული წყაროების მნიშვნელობა.
2. ისტორიული წყაროების ტიპები.
3. ისტორიის მკვლევარის უნარ-ჩვევები.

შესავალი საუბრის შემდეგ მასწავლებელი გამოყოფს ისტორიული წყაროების შვიდ ძირითად ტიპს და მოსწავლეებს მიმართავს კითხვებით:

1. გაიხსენეთ ნივთიერი წყაროების ნაირსახეობანი.
2. როგორ გესმით ისტორიის ეთნოგრაფიული წყაროები?
3. ჩამოთვალეთ წერილობითი წყაროების სახეები (ტიპები?).
4. ისტორიული წყაროების რომელი სახეები გაჩნდა XIX-XX

საუკუნეებში?

მოსწავლეთა პასუხები მასწავლებლის ფართო ინფორმაციით უნდა შეივსოს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს კინო-ფოტო მასალებისა და ფონო ჩანაწერების მნიშვნელობას. მასწავლებელი ყურადღებას გაამახვილებს იმაზე, რომ მარტო ისტორიული წყაროების სიმრავლე და მოპოვებული დოკუმენტები არ კმარა ისტორიული ფაქტების დადგენისათვის. მკვლევარი-მეცნიერი მოძიებული წყაროების შესწავლისას ჭეშმარიტად ობიექტური უნდა იყოს, რაც განაპირობებს უძველესი თუ უახლესი წარსულის ნამდვილად სურათის აღდგენასა და გაანალიზებას.

მოსწავლეთა ცოდნის შეფასებისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს ცალკეული მოსწავლის აქტიურობა გაკვეთლის მსვლელობისას, მისი სწორი და ანალიზის მომცველი პასუხი.

საშინაო დავალების განსაზღვრისას მასწავლებელი ითვალისწინებს სახელმძღვანელოში მოცემულ კითხვებს, რომელიც შეუძლია შეცვალოს ან შეამციროს.

თემა - 3. ინგლის XVII-XVIII საუკუნეებში

სტიუარტების გამეფება ინგლისში

თემის შესწავლას ორი საგაკვეთილო საათი ეთმობა.

თემის სწავლების მეთოდები: 1. კომბინირებული, 2. ლექცია-კომბინირებული გაკვეთილი.

სწავლების მეთოდის შერჩევისას მასწავლებელი უნდა გაეცნოს სახელმძღვანელოში მოცემულ თემის ძირითად ტექსტს, რომელსაც

ახლავს „ხანგრძლივი პარლამენტის“ სხდომის სურათი და ისტორიული წყარო.

სწავლების კომბინირებული გაკვეთილის მეთოდით თემის შესწავლისას ძირითადი საკითხები შეიძლება იყოს:

I გაკვეთილისათვის:

1. ინგლისის ეკონომიკის ძირითადი მიმართულებები XVII ს-ში (რუკა).

2. ინგლისის ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის საქმიანობა.

3. ინგლისის შეიარაღებული ძალები

4. ინგლისის პოლიტიკური წყობა

5. ანგლიკანური ეკლესია და პურიტანები, მათ შორის ბრძოლის პოლიტიკური ხასიათი

6. ელისაბედ I პოლიტიკა.

II გაკვეთილისათვის:

1. სტიუარტების დინასტიის დასაწყისი, ჯეიმზ I (დანართი „გზა“).

2. „გვირგვინოსათა ღვთაებრივი უფლებების“ თეორია და მეფე.

3. ჩარლზ I გამეფება და „პეტიცია უფლებათა შესახებ“. პარლამენტის დათხოვნის მიზეზები და შედეგები.

4. შოტლანდიასთან ომის და პარლამენტის მოწვევის მიზეზები.

5. „ხანმოკლე“ და „ხანგრძლივი“ პარლამენტები, მათი საქმიანობა (დანართი, სურათი 1).

6. პოლიტიკური და სოციალური წინააღმდეგობათა გამძაფრება. თემის კომბინირებული გაკვეთილის მეთოდით შესწავლისას ორივე გაკვეთილზე საჭიროა მოსწავლეთა ცოდნის შეფასება.

თემის ლექცია-კომბინირებული მეთოდით შესწავლისას პირველი გაკვეთილი მთლიანად დაეთმობა მასწავლებლის საუბარს, რომელიც ზემოთ აღნიშნული ძირითადი საკითხების და რეკომენდაციების გათვალისწინებით წარიმართება. დანართების გამოყენება მასწავლებელს შეუძლია თხრობის პროცესში. მეორე გაკვეთილი

დაეთმოზა მოსწავლეთა ცოდნის შეფასებას და ცალკეული საკითხების გაღრმავებას.

მოსწავლეთა ცოდნა შეიძლება შემოწმდეს სახელმძღვანელოში მოცემული კითხვების გამოყენებით. მათი შეცვლა მასწავლებლის მოსაზრებაზეა დამოკიდებული.

საშინაო დავალების ფორმა და დოზირება განისაზღვრება მასწავლებლის მიერ.

თემა - 4. XVII საუკუნის ინგლისის რევოლუცია

მიზანშეწონილად მიგვაჩნია თემის შესწავლა კომბინირებული გაკვეთილის მეთოდით წარმართოს, რისთვისაც ტექსტი მასწავლებელმა პარაგრაფების მიხედვით, ორ ნაწილად უნდა გაყოს და შეისწავლოს პირველ და მეორე გაკვეთილებზე. ორივე გაკვეთილზე მოხდება მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაც.

მასწავლებლის ყურადღება გვსურს გავამახვილოთ სახელმძღვანელოში მოცემულ № 1 რუკასა (XVII საუკუნის ინგლისის რევოლუცია), ორ სურათსა (კრომველის ჯარისკაცები და ოლივერ კრომველის პორტრეტი) და ისტორიულ წყაროებზე. მათი გამოყენება აუცილებელია ორივე გაკვეთილზე. რუკაზე აღნიშნულია ინგლისის მიწა-წყალზე მეფის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა გავლენის სფეროები 1643 წლისათვის, ბრძოლის ადგილი და ირლანდიაში შექმნილი ვითარება. ოლივერ კრომველის პორტრეტს თან ახლავს ანოტაცია, რომელიც შესანიშნავად ხსნის მხატვარ უოლკერის ნამუშევრის მნიშვნელობას.

მასწავლებელს ვთავაზობთ თემის ძირითად საკითხებს გაკვეთილების მიხედვით:

I გაკვეთილი

1. რევოლუციის მშვიდობიანი პერიოდის დასასრული, სამოქალაქო ომის გარდუვალობა.

2. მეფისა და პარლამენტის ძირითადი ძალების დაპირისპირების მიზეზები (რუკა 1).

„კავალერები“ და „მრგვალთავიანები“ (სურ. 2).

3. ოლივერ კრომველის წარმოჩენის მიზეზები, ახალი არმიის შექმნა (დანართი – სურ. 3).

4. ბრძოლა ნეიზბისთან, მისი შედეგები, მეფის სიკვდილით დასჯა (რუკა 1).

5. „სარაინდო მიწათმფლობელობის „კანონის გაუქმება, მისი შედეგები და მნიშვნელობა (დანართი – ისტორიული წყარო).

მასწავლებელმა თხრობის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა გაამახვილოს სამოქალაქო ომში დაპირისპირებული ძალების ბრძოლის ტაქტიკასა და ხერხებზე, კათოლიკურ ეკლესიასა და პურიტანებს შორის წინააღმდეგობათა გაღრმავების მიზეზებზე, თანამედროვე ეტაპზე „სარაინდო მიწათმფლობელობის“ კანონის შედეგებზე მასწავლებელმა შეიძლება მიმართოს მოსწავლეებს პრობლემური კითხვით:

ამართლებთ თუ არა მეფის სიკვდილით დასჯას? რატომ?

II გაკვეთილი

1. სამხედრო დიქტატურის ფორმა და შინაარსი.

2. ინგლისის სამხედრო დიქტატურის პოლიტიკა ირლანდიაში, მისი შედეგები (რუკა 1).

3. ინგლისის საგარეო პოლიტიკა 1649-1660 წლებში.

4. კრომველის გარდაცვალება, პოლიტიკური სიტუაციის გამწვავება.

5. სტიუარტების ხელისუფლების აღდგენა, მისი შედეგები.

თხრობის პროცესში მასწავლებელმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს თემის დასკვნით ნაწილს, აღნიშნოს, რომ რევოლუცია ინგლისში ფეოდალიზმის წინააღმდეგ იყო მიმართული, ახალი საზოგადოების დამკვიდრებისათვის. ეს პროცესები ერთგვარად შეაჩერა 1660 წლის მოვლენებმა, რის შესახებაც, აღნიშნავს მასწავლებელი, შემდეგ გაკვეთილზე ვისაუბრებთ.

საშინაო დავალების ფორმის შერჩევა მასწავლებლისთვის მიგვიჩნდება.

თემა - 5. ინგლისის რევოლუციის პოლიტიკური და ეკონომიკური შედეგები

თემის შესწავლას ორი საგაკვეთილო საათი ეთმობა.

თემის სწავლების მეთოდები: 1. ლექცია-კომბინირებული, 2. კომბინირებული გაკვეთილი.

თემის სირთულისა და ისტორიულ მოვლენათა მრავალსახეობის გამო მიზანშეწონილად მიგვაჩნია მისი შესწავლა ლექცია-კომბინირებული გაკვეთილის მეთოდით, აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ მოსწავლეთა კოლექტივის შესაძლებლობის გათვალისწინებით მასწავლებელს თვითონ შეუძლია შეარჩიოს სწავლების მეთოდთა და ხერხები.

თემის ტექსტს ახლავს სამი დანართი, მათ შორის ერთი ნუსხა რომელიც სრულად წარმოსახავს სტიუარტებისა და ჰანოვერთა დინასტიების მეფეებს და მათი ზეობის თარიღებს.

ჩვენს მეთოდურ რეკომენდაციაში მოცემულია სქემა, რომელიც პასუხობს სქემის ძირითად ტექსტს და ყურადღებას ამახვილებს სტიუარტების საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებზე რესტავრაციის შემდეგ. შესწავლილი სქემის ან ნუსხის შერჩევა მასწავლებლისთვის მიგვინდია.

გთავაზობთ სქემას:

სტიუარტების დინასტიის მეფეები, მათი ღონისძიებები რესტავრაციის შემდეგ

№	მეფე	ზეობის წლები	საშინაო პოლიტიკა და მისი შედეგები	საგარეო პოლიტიკა
1	2	3	4	5
1	ჩარლზ II სტიუარტი	1660 - 1680	სამეფო კარის კონტრრევოლუციური ღონისძიებანი. ვიგების და ტორების პოლიტიკური პარტიების წარმოქმნა 1679 წ. ჰაბეას კორპუს აქტის მიღება	ინგლისის ბატონობის დამყარება ჩრდილო ამერიკასა და ინდოეთში.

1	2	3	4	5
2	ჯეიმზ II სტიუარტი	1685 – 1688	პოლიტიკური რეაქციის გამძა- ფრება. ბურჟუაზია და ახალი თავადაზნაურობა მეფის წინა- აღმდეგ, ვიგების და ტორების პოზიციების გაერთიანება და „უსისხლო რევოლუცია“.	„მეორე აწლიანი ომი“ ბრძოლა ინგლისსა და სა- ფრანგეთს შო- რის.
3	იულიამ III ორანელი	1688 – 1702	1689 წ. „ბილი“ უფლებათა შე- სახებ“ 1701 წ. – „აქტი ტახტის მემკვიდრეობის“ შესახებ.	ბრძოლა მსოფ- ლიოში პირვე- ლობისათვის
4	ენი სტიუარტი	1702 – 1714	ახალი პოლიტიკური ტრადი- ციის დამკვიდრება (მთავრობის შემადგენლობაში შედიან გამარ- ჯვებული პარტიის – ვიგების ან ტორების – წარმომადგენლები)	შოტლანდიის მი- ერთება და „დი- დი ბრიტანეთის“ სახელწოდების დამკვიდრება
5	ჯორჯ I ჰანოვერთა დინასტიის დასაწყისი	1714 – 1727	კონსტიტუციური მონარქიის საბოლოო დამკვიდრება ინგ- ლისში	ბრძოლა კოლო- ნიური სამფლო- ბელოების გაფა- რთობისათვის

სქემის გამოყენების შემთხვევაში მასწავლებელმა უნდა გადაიტა-
ნოს იგი ფართო მასშტაბში და თხრობის პროცესში მოსწავლეთა
ყურადღება გაამახვილოს მოვლენათა განვითარებაზე. როგორც
ნუსხა, ისე სქემა დაეხმარება მასწავლებელს ახალი მასალის ძირითადი
საკითხების განმტკიცება-გაანალიზებაში.

მასწავლებელს ვთავაზობთ ლექცია-კომბინირებული გაკვეთი-
ლის ძირითად საკითხებს:

1. ჩარლზ II რეაქციული პოლიტიკა.
2. ვიგების და ტორების პოლიტიკური პარტიების წარმოქმნა.

3. ჰაბეას კორპუს აქტის მნიშვნელობა.
4. „უსისხოლო რევოლუციის“ მიზეზები, მისი მნიშვნელობა.
5. „მეორე ასწლიანი ომის“ ძირითადი მიზეზები და შედეგები.
6. იულიამ III მიერ მიღებული პოლიტიკური აქტები (დანართი).
7. ცნების „დიდი ბრიტანეთის“ საბოლოო გაფორმება.
8. პირველი ჰანოვერები ინგლისში და კონსტიტუციური მონარქიის დამკვიდრება.
9. „ინგლისის კონსტიტუციის ბიბლია“, მისი არსი.
10. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ძირითადი მიმართულებები.

11. სამრეწველო გადატრიალების დამახასიათებელი ნიშნები ფაბრიკა-ქარხნების წარმოქმნა (დანართი – სურათები 4, 5).

თემის დანართი „ფაბრიკები და სააქციო საზოგადოებები“ თავისი შინაარსით შეიძლება ორ ნაწილად გაიყოს. პირველ ნაწილში აღწერილია ნემსის წარმოების პროცესი მარტივი ტექნიკისა და შრომის დანაწილების გამოყენებით. მასწავლებელი დაასაბუთებს ხელოსნურ წარმოებასთან შედარებით ახალი კაპიტალისტური წესის უპირატესობას, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების საფუძველზე მისი სწრაფი ტემპებით ზრდის შესაძლებლობას.

მეორე ნაწილი შესანიშნავად განმარტავს მეწარმეთა (კაპიტალისტების) პირველი გაერთიანებებისა, ფასიანი ქაღალდების – აქციების და სააქციო საზოგადოებების წარმოშობის მიზეზებს. თემის დანართის განხილვისას ურიგო არ იქნება თუ მასწავლებელი დაფასაც გამოიყენებს.

მაგალითად:

1765 წელი – ჰარგრივმა გამოიგონა სართავი ჯარა-ჯენი

1785 წელი – ქართრაითმა გამოიგონა საქსოვი დაზგა.

1784 წელი – უატმა გამოიგონა ორთქლის მანქანა.

სქემის, ნუსხის და დაფის ერთდროული ამოქმედების მეთოდი მოსწავლეთათვის გაკვეთილს უფრო საინტერესოს და ეფექტურს გახდის.

ლექცია-კომბინირებული მეთოდით თემის შესწავლისას პირველი საათი დაეთმობა მასწავლებლის საუბარს, მეორე – მოსწავ-

ლეთა ცოდნის შეფასებას და თემის ცალკეული საკითხების გაღრმავება გაანალიზებას.

თემის კომბინირებული გაკვეთილის მეთოდით შესწავლისას ძირითადი საკითხები მასწავლებლის მოსაზრებით გაიყოფა ორ ნაწილად, შეისწავლება ცალ-ცალკე პირველ და მეორე გაკვეთილებზე, და მოხდება მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაც.

საშინაო დავალება განისაზღვრება მასწავლებლის მიერ შერჩეული სწავლების მეთოდის გათვალისწინებით.

თემა - 6. ამერიკის შეერთებული შტატების წარმოქმნა

ინგლისის კოლონიები ჩრდილოეთ ამერიკაში

თემა კომბინირებული გაკვეთილის სწავლების მეთოდით შესწავლება და ეთმობა ერთი საგაკვეთილო საათი. თემის ტექსტს თან ახლავს ორი დანართი, რომელთა გამოყენება მასწავლებელს შეუძლია თხრობის პროცესში ან საშინაო დავალების სახით.

თემის განხილვა - შესწავლაში მასწავლებელს დიდ დახმარებას გაუწევს სახელმძღვანელოში მოცემული რუკა № 2 (ამერიკის შეერთებული შტატების შექმნა, ვფიქრობთ, მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა აუხსნას რუკაზე მუშაობის ხერხები. რუკაზე ასახულია ინგლისური კოლონიების სამი ჯგუფი. მასწავლებლის თხრობის პროცესში მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობა რუკაზე, ხელს შეუწყობს ახალი მასალის განმტკიცებასაც.

თემის ძირითადი საკითხებია:

1. ჯეიმზ I აქტი ჩრდილო ამერიკაში ახალშენების შექმნის შესახებ;

2. ინდიელთა და კოლონისტების ურთიერთობა (დანართი „მადლიერების დღესასწაული“).

3. ტერიტორიული ბრძოლა ჩრდილო ამერიკაში ინგლისსა და ესპანეთ-ნიდერლანდს შორის, მისი შედეგები (რუკა № 2).

4. ინგლისური კოლონიების სამი ჯგუფის წარმოქმნის საფუძვლები (რუკა).

5. სამეურნეო ძალების ხასიათი და წყაროები ინგლისის კოლონიებში.

6. ინგლისის კოლონიების მეურნეობის განვითარების თავისებურებანი.

7. ინგლისის პარლამენტის დამოკიდებულება ამერიკის კოლონიებისადმი, 1765 წლის საგერბო გამოსაღების არსი.

8. კოლონიების „ხოცვა-ჟლეტა“ და „ბოსტონის ჩაის სმა“ (სურათი 10).

9. კონტინენტური კონგრესის მოთხოვნები და ჩრდილო ამერიკის ინგლისური კოლონიების დამოუკიდებლობისათვის ომის დასაწყისი.

11. ბენჯამენ ფრანკლინი – მეცნიერი, საზოგადოებრივი მოღვაწე, პოლიტიკოსი (დანართი – ფრანკლინის 13 სათნოება – შერჩევით).

ვფიქრობთ, დანართი „მაღლიერების დღესასწაული“ მასწავლებლის საუბარს ერთგვარი რომანტიკული ტონითაა შეავსებს. დანართში მოთხრობილია პირველი კოლონიების – ახალი პლიმუტის – დაარსების ისტორია, ლეგენდალური ინდიელის, სკუანტოს ფათერაკებით აღსავსე თავგადასავალი, ინდიელების კეთილშობილების შესანიშნავი გამოვლინების მაგალითები და ბოლოს, „მაღლიერების დღესასწაულის“ დაწესების მიზეზებიც.

ცნობილი მეცნიერის და პოლიტიკური მოღვაწის ბენჯამენ ფრანკლინის მოკლე ბიოგრაფიას და მის ცნობილ გამონათქვამებს შესანიშნავად ასახავს თემის მეორე დანართი („ბენჯამენ ფრანკლინი“).

თხრობის პროცესში მასწავლებელს, მისთვის შესატყვის მომენტში, შეუძლია მოსწავლეებს მიმართოს პრობლემური ხასიათის კითხვებით:

1. რამ განაპირობა სამხრეთ კოლონიების პლანტატორების მიერ ზანგების შრომის გამოყენება?

2. როგორ გგონიათ გარდაუვალი იყო თუ არა ომი დამოუკიდებლობისათვის? დააასაბუთეთ.

3. თქვენ როგორ შეაფასებთ ჩრდილო ამერიკის კოლონისტების ეკონომიკურ პოლიტიკას?

ასეთი ხანისათვის კითხვები ხელს შეუწყობს მოსწავლეთა დამოუკიდებელი აზროვნების უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

რადგან მოსწავლეთა განვითარების დონე ერთგვაროვანი არ შეიძლება იყოს, დასაშვებია კითხვების სხვადასხვა ვარიანტი. კითხვების შესაძლო ვარიანტის შერჩევა მასწავლებლისთვის მიგნდება.

საშინაო დავალება განისაზღვრება მასწავლებლის მოსაზრების მიხედვით.

თემა - 7. ომი დამოუკიდებლობისათვის და ამერიკის შეერთებული შტატების შექმნა

თემის შესწავლას ორი საგაკვეთილო საათი ეთმობა.

თემის სწავლების მეთოდები:

1. კომბინირებული, 2. ლექცია-კომბინირებული გაკვეთილი.

სწავლების ლექცია-კომბინირებული მეთოდის გამოყენებისას მეორე საგაკვეთილო საათი შეიძლება დაეთმოს მესამე კარის („აშშ წარმოქმნა“) ძირითადი საკითხების გამეორება-განზოგადებას.

პირველ გაკვეთილზე მასწავლებელი თავის ლექცია-საუბარში, განიხილავს რა შესასწავლი თემის და დანართების ძირითად საკითხებს, მოსწავლეებს შეახსენებს დამოუკიდებლობისათვის ომის ძირითად მიზეზებს, ომის გარდაუვალობისა და მისი დაწყების პირობებს. საშინაო დავალების განსაზღვრისას, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ყურადღება გამახვილდეს ორივე თემის შემდეგ, საკვანძო საკითხებზე:

1. ჩრდილოეთ ამერიკაში ინგლისური კოლონიების წარმოშობის პირობები.

2. მეტროპოლიასა და კოლონიებს შორის წინააღმდეგობათა გამწვავების მიზეზები.

3. „ბოსტონის ჩაის სმა“ და ომის დასაწყისი.

4. პირველი და მეორე კონტინენტური კონგრესის გადაწყვეტილებანი.

5. „დამოუკიდებლობის დეკლარაცია“, მისი ისტორიული მნიშვნელობა.

6. საომარი მოქმედებები 1776-1777 წლებში.

7. ბრძოლები სარაგოსთან და იორკთან, მათი შედეგები.

8. დამოუკიდებლობისათვის ომის დასარული, აშშ წარმოქმნა.

გამეორება-განზოგადების გაკვეთილზე მოხდება თემის – „აშშ წარმოქმნა“ განმტკიცება-გალრმავება და მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაც.

ცხრილი შეიძლება იყოს შემდეგი ფორმის:

№	თარიღი	ისტორიული მოვლენა
1	1607	ჯეიმზ I ნებართვის სიგელი
2	1763	ინგლისმა საფრანგეთის კოლონია კვებეკი (კანადა) მიიღო
3	1765	ინგლისის პარლამენტის გადაწყვეტილება საგერბო გამოსაღების შესახებ
4	1783	აშშ დამოუკიდებლობის ცნობა

ცხრილი გამოიყენება ნებისმიერი მეთოდით სწავლებისას, როგორც პირველ ისე მეორე გაკვეთილზე. ცხრილი შეიძლება იყოს: 1. სრული სახით, 2. ნაწილობრივად შევსებული, რომლის დამთავრება დაევალებათ მოსწავლეებს.

სწავლების კომბინირებული გაკვეთილის მეთოდის გამოყენების შემთხვევაში პირველ და მეორე გაკვეთილზე მოხდება ორ ნაწილად გაყოფილი ძირითადი და გასამეორებელი საკითხების შესწავლა. მოსწავლეთა ცოდნა ორივე გაკვეთილზე შემოწმდება.

მასწავლებელს ვთავაზობთ შესასწავლი თემის (VIII თავის) ძირითადი საკითხების ერთ-ერთ ვარიანტს:

1. პოლიტიკური სიტუაცია ინგლისის კოლონიებში ბოსტონის შეიარაღებული შეჯახების შემდეგ.
 2. მეორე კონტინენტური კონგრესის გადაწყვეტილებანი;
 3. თომას ფეინის ბროშურა, მისი მნიშვნელობა.
 4. 1776 წ. 4 ივლისი – „დამოუკიდებლობის დეკლარაცია“, მისი ისტორიული მნიშვნელობა (დანართი).
 5. აშშ გამოცხადება, მისი დროშა.
 6. 1774 წლის კვებეკის აქტი, მისი პირბები და მიზნები.
 7. ინგლისის მეფის ღონისძიებანი სამხედრო ძალების გაძლიერების მიზნით.
 8. 1776-1777 წლების სამხედრო მოქმედებათა შედეგები.
 9. მეომარ მხარეთა ძალთა თანაფარდობის შეცვლის მიზეზები და შედეგები.
 10. ბრძოლა იორკთაუნთან; ომის დასასრული.
 11. 1783 წლის პარიზის ზავის პირობები და შედეგები.
- საკონტროლო გასამეორებელი კითხვების და საშინაო დავალების განსაზღვრა მასწავლებლის მოსაზრების მიხედვით.

თემა - 8. რუსეთი XVII ს-ის მიწურულიდან XIX ს-ის დასაწყისამდე

რუსეთის საგარეო პოლიტიკა XVII ს-ის მიწურულსა და XVIII ს-ის პირველ მეოთხედში

თემის სწავლების მეთოდი - ლექცია-კომბინირებული გაკვეთილი.

დასაშვებია თემის შესწავლა კომბინირებული გაკვეთილის მეთოდითაც, თუმცა შესასწავლი მასალა ისე კომპაქტურად და ლაკონურადაა მოცემული სახელმძღვანელოში, რომ მისი გაყოფა, ვფიქრობთ, არ უნდა იყოს მიზანშეწონილი.

მასწავლებლის ყურადღების გარეშე არ უნდა დარჩეს სახელმძღვანელოში მოცემული რუკა № 3 (რუსეთი 1682-1725 წლებში), რომელიც შესანიშნავად ასახავს პეტრე I საგარეო პოლიტიკის

შედევებს და რუსეთის სახელმწიფოს ტერიტორიულ გაფართოვებას, ჩრდილოეთის ომის ბრძოლებს. თურქეთთან ურთიერთობათა საკითხების განხილვისას მასწავლებელმა მოსწავლეთა რუკაზე დამოუკიდებელი მუშაობის მეთოდი უნდა გამოიყენოს, რაც ხელს შეუწყობს ახალი მასალის განმტკიცებას.

თემის შესწავლის ძირითადი საკითხები:

1. რუსეთის ჩამორჩენილობის ძირითადი მიზეზები.
2. პოლიტიკური ვითარება რუსეთში თევდორე ალექსის ძის გარდაცვალების შემდეგ.

3. სოფიოს მმართველობის წლები, პეტრე I მეფობა.

4. 1689 წლის სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა, პეტრეს ბავშვობა.

5. 1695-1696 წწ აზოვის ლაშქრობების შედეგები, „დიდი ელჩობა“.

6. ჩრდილოეთის ომის მიზეზები, მისი მსვლელობა 1700-1704 წწ.

7. ბრძოლები ლესნაიასთან და პოლტავასთან (დანართი).

8. პრუტის ლაშქრობა, მისი შედეგები.

9. რუსეთის ფლოტის გამარჯვებები.

10. ომის დასარული, მისი შედეგები.

11. სპარსეთის ლაშქრობის შედეგები (დანართი).

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს დანართი „ქართველები რუსეთში“. იგი თავისი შინაარსით, ფაქტობრივი მასალის სიმდიდრით, საშუალებას მისცემს მასწავლებელს ფართოდ მიმოიხილოს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობანი XV-XVIII სს-ში, ყურადღება გაამახვილოს ქართველ ემიგრანტთა არა მარტო კულტურულ-საგანმანათლებლო, არამედ პოლიტიკურ მოღვაწეობაზეც (ალექსანდრე ბაგრატიონი, დავით გურამიშვილი).

მასწავლებელმა შეიძლება დანართი ჩართოს მოსწავლის თხრობის პროცესში, ან გამოყოს საშინაო დავალების სახით.

თემა საკმაოდა გადატვირთული ისტორიული მოვლენებითა და თარიღებით. ვფიქრობთ, მოსწავლეთა მიერ მათ დამახსოვრებასა და გაანალიზებას ხელს შეუწყობს მოვლენათა თანმიმდევრულად ამსახველი ცხრილი. მეთოდური თვალსაზრისით ცხრილის გა-

მოყენება ორგვარადაა შესაძლებელი: 1. მისი ვიზუალური წარმოჩენა დასრულებული სახით მასწავლებლის თხრობის პროცესში. 2. ცხრილის შევსება-დამთავრება მოსწავლის მიერ დამოუკიდებლად (საშინაო დავალება).

№	თარიღი	ისტორიული მოვლენა
1	1682	თევდორე ალექსის ძის გარდაცვალება
2	1682-1689	სოფიოს მმართველობა
	1686	რუსეთის შესვლა „სალამო ლიგაში“
3	1689	პეტრე I მეფობის დასაწყისი
	
4	
	
	1734	რუსეთმა დაკარგა პეტრე I მონაპოვარი კასპიის ზღვის სანაპიროზე

საშინაო დავალების ფორმას და დოზირებას მასწავლებელი განსაზღვრავს.

თემა - 9. პეტრი დიდისა და მისი იმპერიატორის საშინაო პოლიტიკა

თემის შესწავლას ორი საგაკვეთილო საათი ეთმობა.

თემის შესწავლა შეიძლება სწავლების ორი მეთოდით: 1. კომბინირებული და 2. ლექცია-კომბინირებული გაკვეთილის მეთოდებით.

სწავლების კომბინირებული გაკვეთილის მეთოდით თემის შესწავლისას სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტი გაიყოფა ორ ნაწილად: პირველ გაკვეთილზე შეისწავლება თემის პირველი და მეორე პარაგრაფები, მეორე გაკვეთილზე – მესამე და მეოთხე პარაგრაფები, დანართის გათვალისწინებით. ორივე გაკვეთილზე მოხდება მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაც.

სწავლების ლექცია-კომბინირებული გაკვეთილის მეთოდით თემის შესწავლა ითვალისწინებს პირველ გაკვეთილზე მასწავლებლის საუბარს, რომელიც მოიცავს თემის ყველა ძირითად საკითხს დანართის გათვალისწინებით. მეორე გაკვეთილზე მოხდება მოსწავლეთა ცოდნის შეფასება და ცალკეული საკითხების გაღრმავება-გაანალიზება.

სწავლების ნებისმიერი მეთოდით თემის შესწავლისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს სახელმძღვანელოში მოცემული რომანოვების დინასტიის ჩამომავლობის ნუსხა, რომლის შესწავლა მოსწავლეებს მასწავლებლის ახსნა-განმარტების გარეშე, ვიქტრობთ, გაუძნელდებათ. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ნუსხა შესწავლილ იქნას ეტაპობრივად. მაგალითად: I ეტაპი – ნუსხა რომანოვთა დინასტიის დასაწყისიდან პეტრე I-მდე, II ეტაპი – პეტრე I-დან ალექსანდრე I-მდე. დასაშვებად მიგვაჩნია ნუსხის შესწავლა მასწავლებლის მიერ შერჩეული მეთოდით.

თემის ძირითადი საკითხები – კომბინირებული გაკვეთილის მეთოდით სწავლებისას:

I გაკვეთილი:

1. პეტრე დიდის გარდაქმნები განათლების სისტემაში.
2. მანუფაქტურული წარმოების და ვაჭრობის განვითარება.
3. სანკტ-პეტერბურგის დაარსება, მისი მნიშვნელობა.
4. სახელმწიფო რეფორმები.
5. სამხედრო რეფორმები.

ტექსტის მიხედვით პეტრე დიდის საშინაო პოლიტიკის ამსახველი რეფორმების ქრონოლოგიური თანმიმდევრობითი ცხრილის შედგენის მეთოდი მასწავლებელმა შეიძლება გამოყოს საშინაო დავალების სახითაც.

II გაკვეთილი:

1. პეტრე დიდის პიროვნება რუსეთის ისტორიაში (სურათი 15).
2. პეტრე დიდის კანონი მემკვიდრეობის შესახებ, მისი მნიშვნელობა (დანართი).
3. პეტრე დიდის მემკვიდრეები (დანართი).
4. ელისაბედ I მეფობა (დანართი).

5. პეტრე III და 1762 წლის სახელმწიფო გადატრიალება (დანართი).

6. სახელმწიფო გადატრიალებათა მიზეზები და შედეგები

გაკვეთილის მსვლელობისას მასწავლებელმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს სახელმძღვანელოში მოცემულ რომანოვების დინასტიის ჩამომავლობის ნუსხას და დანართებს, რომლებიც შესანიშნავად ხსნიან მოვლენათა მიზეზებსა და მათ თანმიმდევრობას.

ლექცია-კომბინირებული მეთოდით თემის შესწავლისას მასწავლებელმა უნდა გააერთიანოს შესასწავლი თემის ზემოთ აღნიშნული ძირითადი საკითხები და ისარგებლოს მისთვის მისაღები რეკომენდაციებით.

საშინაო დავალების ფორმის და დოზირების საკითხის გადაწყვეტა მასწავლებლისათვის მიგვინდია.

თემა - 10. ეკატერინე II, რუსეთი XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე

შესასწავლი თემა აერთიანებს ორ ძირითად საკითხს - ეკატერინე II მეფობის პერიოდი და რუსეთი ეკატერინე II მემკვიდრეების ეპოქაში. ამიტომ მის შესწავლას ორი საგაკვეთილო სათი ეთმობა. სწავლების მეთოდები - 1. კომბინირებული და 2. ლექცია-კომბინირებული გაკვეთილი.

თემის ძირითად ტექსტს თან ახლავს ეკატერინე II, ე. პუგაჩოვის, პავლე I და ალექსანდრე I პორტრეტები, რომელთა გამოყენება მასწავლებელს შეუძლია თხრობის პროცესში. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ სახელმძღვანელოში მოცემული რუკებიც: რუკა 4 (რეჩ-პოსპოლიტას დანაწილება) და რუკა 6 (საქართველო XVIII ს. მეორე ნახევარში) ვფიქრობთ, თემის ნებისმიერი მეთოდით შესწავლისას, განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს მოსწავლეთა მიერ რუკაზე მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე. მასწავლებელი თხრობის პროცესში გამოყოფს რუკებზე

მინიშნებულ ობიექტებს, საჭიროების შემთხვევაში დაეხმარება მოსწავლეებს გეოგრაფიულ-პოლიტიკური ნიშნების გარკვევაში. რუკა 6, საქართველო XVIII ს-ის მეორე ნახევარში, დიდ დახმარებას გაუწევს მასწავლებელს რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის საკითხის შესწავლისას.

რუსეთ-თურქეთის ომებში საქართველოს აქტიურ მონაწილეობას შესანიშნავად ასახავს თემის დანართი („1768-1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომის სამხედრო ოპერაციები“), რომელიც შეიძლება იყოს მასწავლებლის თხრობის ობიექტი გაკვეთილზე ან საშინაო დავალების ერთ-ერთი ფორმა.

თემის ნებისმიერი მეთოდით შესწავლისას საჭიროა ძირითადი საკითხების გამოყოფა მაგალითად:

ლექცია-კომბინირებული გაკვეთილი (პირველი საათი – ლექცია საუბარი).

1. ეკატერინე II-ის პიროვნება, მისი გამეფების პირობები.
2. გლეხთა აჯანყება ე. პუგაჩოვის ხელმძღვანელობით.
3. რუსეთ-თურქეთის ომების საომარი მოქმედებები (დანართი).
4. რუსეთ-თურქეთის ომების შედეგები (რუკის მიხედვით).
5. პოლონეთ-ლიტვის სახელმწიფოს დანაწილების მიზეზები. სამი დანაწილების შედეგები.
6. ეკატერინე II საშინაო და საგარეო პოლიტიკის შედეგები.
7. ეკატერინე II და პავლე I ურთიერთობა.
8. ალექსანდრე I მეფობის პირველ წლები.
9. გეორგიევსკის ტრაქტატის უხეში დარღვევა და საქართველოს ანექსია, მისი შედეგები.

თემის ძირითად ტექსტს, ვფიქრობთ, უნდა დაემატოს მასწავლებლის ახსნა-განმარტებები: მაგალითად, 1. 1762 წლის სახელმწიფო გადატრიალება და პეტრე III სიკვდილი, რაც ახსნის იმ ფაქტს, თუ რატომ გამოაცხადა პუგაჩოვმა თავი პეტრე III, 2. რატომ სძულდათ ერთმანეთი დედა-შვილს, ეკატერინეს და პავლეს. 3. ალექსანდრე I-ლის მონაწილეობა მამის საწინააღმდეგო შეთქმულებაში და სხვა.

თემის ლექცია-კომბინირებული მეთოდით შესწავლისას მეორე გაკვეთილი დაეთმოზა მოსწავლეთა ცოდნის შეფასებას, რუკაზე ვარჯიშსა და ცალკეული საკითხების გაღრმავება-განალიზებას. მოსწავლეთა ცოდნის შეფასება, მათი აქტივიზაციის მიხედვით, შეიძლება ლექცია-საუბრის გაკვეთილზეც.

თემის კომბინირებელი გაკვეთილის მეთოდით შესწავლისას ზემოთაღნიშნული ძირითადი საკითხები, მასწავლებლის მოსაზრებით, გაიყოფა ორ ნაწილად და შეისწავლება პირველ და მეორე გაკვეთილებზე. სწავლების რეკომენდირებული ხერხები და მოსწავლეთა ცოდნის შეფასება მასწავლებლის მიერ გამოყენებული უნდა იყოს ორივე გაკვეთილებზე.

საშინაო დავალების დოზირებას და ფორმას მასწავლებელი განსაზღვრავს.

თემა - II. თურქეთი XVII საუკუნის მიწურულიდან 1813 წლამდე

თემის შესწავლას ერთი საგაკვეთილო საათი ეთმობა, სწავლების მეთოდი - კომბინირებული გაკვეთილი. თემის ძირითად ტექსტს სახელმძღვანელოში თან ახლავს სურათი „თურქების მიერ ვენის ალყა 1683 წ.“ რუკა 8 (ოსმალთა იმპერია XVII-XVIII სს-ში) და მეტად საინტერესო დანართი - „ოსმალეთის იმპერია და საქართველო“.

თემის შესწავლისას მასწავლებელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს მოსწავლეთა რუკაზე მუშაობის უნარ-ჩვევების გამო-მუშავებაზე.

დანართის ტექსტი შეიძლება განაწილდეს თემის ძირითადი საკითხების გათვალისწინებით და გამოიყენოს მასწავლებელმა თხრობის პროცესში.

შესასწავლი თემის და დანართის ძირითადი საკითხები შეიძლება იყოს:

1. თურქეთი XVI ს-ის ბოლოს, „შეჩერების პერიოდის“ დასაწყისი.

2. ოსმალეთის იმპერიის ტერიტორია, მისი დამახასიათებელი ნიშნები.

2ა. სამცხე-საათაბაგოს დანაწილება საფაშოებად.

3. ოსმალეთის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული წყობა, სუნი-ტების პოზიციები.

3ა. ახალციხის საფაშოს პოლიტიკური ორგანიზაციის ძირითადი მიზეზები.

4. დაპყრობილი ხალხების მდგომარეობა (დანართი).

4ა. თურქეთის პოზიციების გაფართოება დასავლეთ საქართველოში „ოსმალობა“.

5. ოსმალეთის შეიარაღებული ძალები.

6. „უკანდახევის“ პერიოდის დასაწყისი, მისი დამახასიათებელი ნიშნები.

7. კაპიტულაციების შედეგები ოსმალეთისათვის.

7ა. თურქეთის წინააღმდეგ სოლომონ I ბრძოლის შედეგები.

8. სელიმ III უშედეგო მცდელობა იმპერიის ძლიერების აღსადგენად.

8ა. დასავლეთ საქართველო და რუსეთი XIX ს-ის დასაწყისში.

მასწავლებელს ვთავაზობთ სქემას, რომელიც ერთგვარად დაეხმარება მათ თემის შესწავლა-გაანალიზებაში.

XVI-XIX სს დასაწყისის თურქეთის განვითარების პერიოდიზაცია.

№	განვითარების პერიოდი	თარიღი	ისტორიული მოვლენა	თარიღი
1	„შეჩერების პერიოდი“	1517-1683		
2	„უკან დახევის პერიოდი“	1683-1740		
3	„კაპიტულაციების პერიოდი“	1740-1813		

შემოთავაზებული სქემა ნაწილობრივადაა შევსებული. სქემის შევსება შეიძლება სწავლების ორი მეთოდის (შერჩევით) გამოყენებით:

1. გაკვეთილზე, მასწავლებლის თხრობის პროცესში, 2. სქემის შევსება საშინაო დავალების ფორმით გამოიყოფა.

საშინაო დავალებას განსაზღვრავს მასწავლებელი მის მიერ შერჩეული სწავლების მეთოდის გათვალისწინებით.

თემა - 12. გერმანია XVIII საუკუნეში

გერმანული სახელმწიფოები XVIII საუკუნეში

თემის შესწავლისას მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს სწავლების ორი მეთოდი:

1. ლექცია – კომბინირებული. 2. კომბინირებული გაკვეთილი.

ლექცია – კომბინირებული მეთოდით მუშაობისას მასწავლებელი ერთ საათს დაუთმობს საუბარს – თემის ახსნას დამატებითი მასალის გამოყენებით, მეორე საათს – მოსწავლეთა ცოდნის შეფასებას და თემის გაღრმავებას. სწავლების კომბინირებული მეთოდის გამოყენებისას, მასწავლებელი თავისი მოსაზრებით, თემის ძირითად საკითხებს გაყოფს ორ ნაწილად, ორივე გაკვეთილზე ახსნის ახალ მასალას და შეამოწმებს მოსწავლეთა ცოდნას.

სწავლების მეთოდის ორივე ვარიანტის გამოყენების შემთხვევაში მასწავლებელი გულმოდგინედ გაეცნობა თემის ტექსტს, დანართს.

შესასწავლი თემის ძირითადი საკითხები შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი თანმიმდევრობით:

1. ავსტრიის, პოლონეთის, ვენეციის და რუსეთის კავშირი ოსმალეთის წინააღმდეგ. ბრძოლის შედეგები;

2. ჰაბსბურგთა დინასტია ავსტრიის მონარქიის სათავეში. ავსტრიის პოლიტიკური მდგომარეობა, რაიხსტაგი;

3. მარი-ტერეზას და იოსებ II რეფორმების მნიშვნელობა;

4. ბრანდენბურგის კურფიურსტი ჰოჰენცოლერთა საგვარეულოდან, მათ მიერ აღმოსავლეთ პრუსიის შეერთება, ტერიტორიის შემდგომი გაფართოება;

5. კურფიურსტ ფრიდრიხის მეფედ კურთხევა. პრუსიის სამეფოს სამხედრო ხასიათი;

6. ფრიდრიხ II რეფორმები, მათი მნიშვნელობა;

7. ფრიდრიხ II საგარეო პოლიტიკა – ავსტრიის სილეზიის მიერთება;

8. პრუსია-გერმანიის უძლიერესი სამხედრო ქვეყანა. ფრიდრიხ II-ის, როგორც პიროვნების დახასიათება;

9. აღმოსავლეთის ბარიერი, მისი მოშლის მიზეზები და შედეგები;

10. რუსეთის, პრუსიის და ავსტრიის სახელმწიფოთა ტერიტორიების გაფართოვება რეჩ-პოსპოლიტა სამი დაყოფის შედეგად;

11. დასკვნა: ავსტრიის და პრუსიის მონარქისტული სახელმწიფოები XVIII საუკუნის ბოლოს.

მეტად საინტერესოა თემის დანართი – იგი სრულიად წარმოაჩენს ფრიდრიხ II-ის სამხედრო ნიჭს, შვიდწლიანი ომის მსვლელობას, საერთაშორისო მოვლენებს, რომლებიც აისახა 1763 წლის ზავის პირობებში. დანართის შინაარსის გამოყენება მასწავლებელს შეუძლია თხრობის პროცესში, დასაშვებია დანართის გამოყენება საშინაო დავალების სახით. ამ შემთხვევაში მასწავლებელი გამოყოფს დანართის ძირითად საკითხებს:

1. შვიდწლიანი ომის მიზეზები;

2. ფრიდრიხ II-ის წარმატებები;

3. ინგლის-საფრანგეთის წინააღმდეგობანი;

4. ინგლისის წარმატებები ინდოეთში;

5. შვიდწლიანი ომის შედეგები.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია ახსნის პროცესში მოსწავლეებმა შეადგინონ მოკლე ჩანაწერები თეზისების ან ძირითადი საკითხების სახით.

გაკვეთილის ბოლოს უნდა მოხდეს მოსწავლის ცოდნის შეფასება მასწავლებლის კომენტარით.

საშინაო დავალების განსაზღვრა შეიძლება როგორც თემის განხილვის დაწყებამდე, ასევე გაკვეთილის ბოლოს.

თემა - 13. საზრანგეთის ღიდი რეპოლუცია

კვალი რაჟიში საზრანგეთში

თემა განიხილავს საფრანგეთის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ვითარებას, მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობას რევოლუციის წინა პერიოდში.

გაკვეთილი, სასურველია, მასწავლებელმა წინსწრების კითხვების მეთოდით დაიწყოს. ჩვენს მიერ შეთავაზებული კითხვები მასწავლებელს შეუძლია შეცვალოს საკუთარი შეხედულებისამებრ და შექმნას კითხვარი, რომელიც მოსწავლეთა კოლექტივის ცოდნას შეეფარდება.

წინსწრების კითხვები მოსწავლეთათვის ნაცნობი თემიდან „ინგლისი XVII-XVIII სს-ში“ შემდეგი ხასიათის შეიძლება იყოს:

1. მოსახლეობის რომელი ნაწილი შეადგენდა ინგლისის ბურჟუაზიას?

2. წარჩინებულთა რომელ ნაწილს უწოდებდნენ ახალ თავადაზნაურობას?

3. ვის ეკუთვნოდა უზენაესი ხელისუფლება ინგლისში?

4. გაიხსენეთ ინგლისის პარლამენტის შემადგენლობა.

5. როგორი იყო ბურჟუაზიის და ახალი თავადაზნაურობის დამოკიდებულება ეკლესიისადმი?

თემის შესწავლას ეთმობა ორი საგაკვეთილო საათი. სწავლების მეთოდი-კომბინირებული გაკვეთილი მოსწავლეთა აქტივიზაციით. თემას დანართის სახით ახლავს სქემა: „საფრანგეთის წოდებრივი წყობა“. ურიგო არ იქნება, თუ მასწავლებელი გადაიტანს მას ფართო მასშტაბში და გამოიყენებს თხრობის პროცესში.

პირველ გაკვეთილზე მასწავლებელს განსახილველად ვთავაზობთ საკითხებს:

1. ჩამოთვალეთ მეურნეობის ძველი და ახალი დარგები, მათი განვითარების პირობები.

2. შეადარეთ საფრანგეთისა და ინგლისის წინა რევოლუციური

პოლიტიკური წყობა, გამოყავით საერთო და განმასხვავებელი ნიშნები.

3. რატომ შეიქმნა თავადაზნაურობის ორი კატეგორია საფრანგეთში.

4. როგორ გესახებათ კათოლიკური ეკლესიის როლი წინა რევოლუციურ საფრანგეთში.

მოსწავლეთა პასუხები საშუალებას მისცემს მასწავლებელს განაგრძოს თემის მეორე ნაწილი შემდეგი ძირითადი საკითხების მიხედვით:

1. წინა რევოლუციური საფრანგეთის მოსახლეობის მესამე წოდება

ა) გლეხობა, მისი უფლება-მოვალეობანი, დიფერენციის გაძლიერება;

ბ) ბურჟუაზია, მისი ეკონომიკური და პოლიტიკური უფლებები.

2. მესამე წოდების ეკონომიკური და პოლიტიკური უფლებები.

3. ბურჟუაზია რევოლუციური მოძრაობის სათავეში.

კარგი იქნება, თუ მასწავლებელი თბრობის პროცესში საფრანგეთის ბურჟუაზიის პოზიციებს შეადარებს წინარევოლუციური ინგლისის ბურჟუაზიის პოლიტიკურ და ეკონომიკურ მოთხოვნებს.

გაკვეთილზე მოსწავლეთა აქტიურობა ახალი მასალის ახსნის პროცესში შეიძლება შეფასდეს შესატყვისი ნიშანით.

საშინაო დავალება სასურველია განისაზღვროს ორი შესაძლებელი ვარიანტის გათვალისწინებით.

1. თემის მეორე ნაწილის ძირითადი და დამატებითი მასალა;

2. თემის „ძველი რეჟიმის საფრანგეთი“ (I და II ნაწილი) საკვანძო და პრობლემური საკითხები.

თემა - 14. ფრანგი განმანათლებლონი

თემის სრულყოფილად შესწავლისათვის საჭიროა მასწავლებელი გულმოდგინედ გაეცნოს სახელმძღვანელოში მოცემულ ტექსტს: ახალი, საინტერესო კუთხითაა განხილული განმანათლებლობის აღმოცენების მიზეზები, ვოლტერის, მონტესკიეს, რუსოს, დიდროს და ენციკლოპედისტების მოღვაწეობა და თეორიათა ძირითადი

დებულებები. პირადად არის მოხსენიებული ფიზიოკრატთა შეხედულებანი; თემის „დანართი“ იძლევა საინტერესო მასალას, დიდროს ენციკლოპედიიდან, საქართველოს შესახებ. ურიგო არ იქნება, თუ მასწავლებელი, თხრობის პროცესში განმანათლებელთა პორტრეტებსაც გამოიყენებს.

თემის სირთულის გამო მიზანშეწონილად მიგვაჩნია მის შესწავლას დაეთმოს ორი საგაკვეთილო საათი სწავლების ორი მეთოდის (შერჩევით) გამოყენებით: 1. კომბინირებული და 2. ლექცია-კომბინირებული გაკვეთილი.

თემის ნებისმიერი მეთოდით შესწავლისათვის აუცილებელია ძირითადი საკითხების გამოყოფა მოკლე თეზისების სახით:

1. ანტიფეოდალური თეორიების წარმოშობის მიზეზები, თეორიებში ასახული ძირითადი მოთხოვნები;

2. ფრანსუა მარი არუეს (ვოლტერი) მოკლე ბიოგრაფია, მისი დამოკიდებულება მეფისა და ეკლესიისადმი, სხვადასხვა სოციალური ფენებისადმი;

3. შარლ ლუი მონტესკიეს მოკლე ბიოგრაფიული ცნობები. მისი თეორია ხელისუფლების დანაწილების შესახებ, როგორც საფუძველი დემოკრატიული კონსტიტუციების შემუშავებისათვის;

4. ჟან-ჟაკ რუსოს მოკლე ბიოგრაფიული ცნობები. მისი თეორია საკუთრების შესახებ. სახალხო სუვერენიტეტი – დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის საფუძველი;

5. ენციკლოპედისტები, მიმდინარეობის წარმოშობის მიზეზები და მიზნები;

6. დენი დიდროს ენციკლოპედიის ძირითადი მიმართულებები. ენციკლოპედიის გამოცემის თარიღი;

7. დიდროს ენციკლოპედიებში საქართველოს შესახებ მოთავსებულ სტატიებში გამოყენებული წყაროები. სტატიების ისტორიული მნიშვნელობა;

8. ფიზიოკრატები ეკონომიკური თეორიების შექმნის სათავეში, მათი თეორიების ძირითადი საფუძველები.

9. მონარქიის კრიზისის გამძაფრება. ტიურგოს პოლიტიკური მოღვაწეობის პერიოდი. ნეკერი და ფინანსური კრიზისის სახალხო

აღიარება. ლათაიეტის მოთხოვნა გენერალური შტატების მოწვევის აუცილებლობის შესახებ.

10. დასკვნა – საფრანგეთის რევოლუციის გარდაუვლობა.

ლექცია-კომბინირებული გაკვეთილის მეთოდის გამოყენებისას პირველი გაკვეთილი მთლიანად დაეთმობა მასწავლებლის საუბარს, ხოლო მეორე გაკვეთილზე მოხდება თემის ცალკეული საკითხების გაღრმავება და მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაც. სწავლების ორივე მეთოდი ითვალისწინებს მოსწავლეთა აქტივიზაციის, და მათი ცოდნის შეფასებასაც.

მასწავლებლის საუბარში ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ განმანათლებელთა შეხედულებები ეყრდნობოდნენ იმდროინდელ მოწინავე მეცნიერულ აზროვნებას, და მიმართული იყო ძველი, დრომოჭმული, ფეოდალური თეორიების წინააღმდეგ. განმანათლებლები ქადაგებდნენ თავისუფლებას, თანასწორობას, უარყოფდნენ საკუთრების არსებულ ფორმებს.

ვოლტერის მოღვაწეობის განხილვისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ ფაქტზე, რომ იგი უარყოფდა კათოლიკური ეკლესიის ძალმომრეობას, მისი მოღვაწეობის მანკიერებას და არა რელიგიას და ღმერთს. ვოლტერის სიტყვებია: „ღმერთი რომ არ არსებულიყო, საჭირო იქნებოდა მისი შექმნა“, ხოლო საკუთარ ბაღში დადგმულ ქანდაკებას მისი ბრძანებით გაუკეთდა წარწერა: „ღმერთს ვოლტერისაგან“.

მასწავლებელი იყენებს დანართსაც - ვოლტერის აღსარებას, რომელიც ერთხელ კიდევ ადასტურებს მის ღრმა რელიგიურობას. ვოლტერი ფართო მიმოწერას აწარმოებდა სხვადასხვა ქვეყნების მონარქებთან, მათ შორის რუსეთის იმპერატორ ეკატერინე II-თან, რომელიც ცდილობდა საკუთარი მმართველობის „დემოკრატიულობით“ თავი მოეწონებინა მისთვის. განიხილავს რა ვოლტერის პოლიტიკურ თეორიებს, მასწავლებელს შეუძლია კითხვით მიმართოს მოსწავლეებს: სახელმწიფოს მმართველობის როგორი ფორმა მიაჩნია ვოლტერს საუკეთესოდ?

შარლ ლუი მონტესკიე, წარმოშობით მანტიის აზნაურის ოჯახიდან იყო და სწორედ ამიტომ მისი დამოკიდებულება არსებული

პოლიტიკური წყობისადმი, მკვეთრად მიუთითებდა მონარქიის ღრმა კრიზისზე. მონტესკიემ პირველმა წარმოადგინა ხელისუფლების დანაწილების თეორია, რომელიც საფუძვლად დაედო დემოკრატიული სახელმწიფო ხელისუფლების შექმნას. აქვე მასწავლებელს შეუძლია აღნიშნოს მონტესკიეს თეორიის აქტუალობა და დაუმატოს, რომ თანამედროვე ეტაპზე საკანონმდებლო, კანონშემსრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას დაემატა მეოთხე ხელისუფლება - პრესა, რომელსაც ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც საშინაო, ასევე საერთაშორისო პოლიტიკურ მოვლენათა განვითარების პროცესში.

ჟან-ჟაკ რუსოს პოლიტიკური პლატფორმის განხილვისას მასწავლებელმა საჭიროა გამოიყენოს მისი თეორია სახალხო სუვერენიტეტის შესახებ, რომელიც დღესაც დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს. საინტერესოა რუსოს შეხედულებანი კერძო საკუთრების ფორმებზეც.

„ენციკლოპედისტების“ ცალკეულ მიმდინარეობად ჩამოყალიბების ძირითადი მიზეზების გამოყოფის შემდეგ მასწავლებელი ყურადღებას გაამახვილებს „ენციკლოპედისტის“ პირველი ტომების გამოცემის მნიშვნელობაზე და დანართში მოცემულ მასალაზე დიდროს ენციკლოპედიიდან საქართველოს შესახებ.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საკითხი ფიზიოკრატების შესახებ. ამ მიმდინარეობის წარმომადგენელთა მოღვაწეობა საინტერესოა იმიტომ, რომ მათ მიერ პირველად იქნა განხილული ეკონომიკური ხასიათის პრობლემები. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მასწავლებელი დეტალურად გაეცნოს ფრანსუა კეენეს, ტიურგოსა და კონდორსეს თეორიებს და დაიყვანოს მათი არსი მოსწავლეებამდე. მონარქიის ღრმა კრიზისის მაჩვენებელია ლუი XVI მიერ ტიურგოს დანიშვნა ფინანსთა გენერალურ კონტროლიორად, რომელიც მალე ნეკერმა შეცვალა, ხოლო ამ უკანასკნელმა, პირველმა საფრანგეთის ისტორიაში, გამოაქვეყნა სახელმწიფო ბიუჯეტის მდგომარეობა, რასაც ხალხთა მასების აღშფოთება მოჰყვა.

დასკვნის სახით მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს ლაფაიეტის მოთხოვნა გენერალური შტატების მოწვევის შესახებ, აღ-

ნიშნოს ამ წინადადებების ისტორიული აუცილებლობა და მნიშვნელობა.

მასწავლებელს ვთავაზობთ თანამედროვე ფრანგების საინტერესო შეხედულებებს რევოლუციის მეთაურებზე. საფრანგეთის დიდი რევოლუციის 200 წლისთავის დღესასწაულამდე მოეწყო ფრანგი მოსახლეობის გამოკითხვა: ვინ მოსწონდათ რევოლუციის მეთაურთაგან ყველაზე მეტად. მარატმა მოაგროვა – 8%, რობესპიერმა – 9%, ნაპოლეონ ბონაპარტმა – 30%, ხოლო პირველ ადგილზე გავიდა ევროპისა და ამერიკის გმირი მარკიზი დე ლაფაიეტი. მას ეკუთვნის სიტყვები: „ერი რომ განთავისუფლდეს, ამისათვის საკმარისია მან მოიწადინოს ის“. მისივე წინადადებით დაკანონდა ის სამფეროვანი დროშა, რომელიც დღესაც დარჩა საფრანგეთის სახელმწიფო დროშად.

თემის შესწავლაში მოსწავლეებს დახმარებას გაუწევს სახელმძღვანელოში მოცემული სქემა, მისი შევსების მეთოდი, საჭირო მასალების შერჩევა მასწავლებელს აქვს მინდობილი.

საშინაო დავალება განისაზღვრება მასწავლებლის მიერ შერჩეული სწავლების მეთოდის შესაბამისად.

თემა - 15. საფრანგეთის დიდი რევოლუციის დასაწყისი

თემა შესასწავლად რთულია, რადგან იგი გადატვირთულია ისტორიული მოვლენებით და ქრონოლოგიით. თემის სრულყოფილად შესწავლისათვის საჭიროა ისტორიული მოვლენების მნიშვნელობის გახსნა, მათი თანმიმდევრობის პრინციპის გათვალისწინებით.

თემის შესწავლას ეთმობა ორი საგაკვეთილო საათი. სწავლების მეთოდები (შერჩევით): 1. კომბინირებული და 2. ლექცია-კომბინირებული გაკვეთილი. მეთოდის შერჩევა მასწავლებლის ნებასურვილზეა დამოკიდებული.

ვფიქრობ, ურიგო არ იქნება, თუ მასწავლებელი სწავლების ნებისმიერი მეთოდის შერჩევას იხელმძღვანელებს ისტორიულ

მოვლენათა ქრონოლოგიური ცხრილით. ჩვენს მიერ შეთავაზებულ ცხრილი მასწავლებელმა უნდა გადაიტანოს ფართო მასშტაბში და შესავალი საუბრის შემდეგ გადავიდეს მოვლენათა განხილვაზე ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. გთავაზობთ ქრონოლოგიურ ცხრილს:

№	თ ა რ ი დ ი	ი ს ტ ო რ ი უ ლ ი მ ო ვ ლ ე ნ ე ბ ი
1	2	3
1789 წ.		
1	5 მაისი	გენერალური შტატების საზეიმო გახსნა ვერსალში.
2	17 ივნისი	მესამე წოდების დეპუტატთა მიერ ეროვნულ კრებად გამოცხადება
3	20 ივნისი	გენერალური შტატების დაშლა
4	9 ივლისი	ეროვნული კრების დამფუძნებელ კრებად გამოცხადება
5	15 ივლისი	პარიზელების მიერ ბასტილის აღება. ლუდოვიკო XVI რამოდენიმე დღით პარიზში დაბრუნება, კონსტიტუციური მონარქიის დასაწყისი.
6	აგვისტო	დამფუძნებელი კრების მიერ მეფის შემზღუდავი კანონების გამოცემა. ფეოდალური პრივილეგიების გაუქმება. „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია“.
7	6 ოქტომბერი	პარიზელების მოთხოვნა, მეფის პარიზში დაბრუნება.
8	ოქტომბერი	იაკობინთა კლუბის შექმნა.
1791 წ.		
1	21 ივნისი	ვარენის კრიზისი. სახალხო მოძრაობის ხელახალი აზვირთება.
2	17 ივლისი	მონარქიის საწინააღმდეგო დემონსტრაცია მარსის მოედანზე. პირველი შეიარაღებული შეტაკება მესამე წოდების წარმომადგენელთა შორის.

1	2	3
3	სექტემბერი	დამფუძნებელი კრების მიერ კონსტიტუციის შემუშავება
4	1 ოქტომბერი	საკანონმდებლო კრების არჩევა
1792 წ.		
1	20 აპრილი	საკანონმდებლო კრებამ ომი გამოუცხადა ავსტრიას და პრუსიას.
2	11 ივნისი	საყოველთაო განცხადება „სამშობლო საფრთხეშია“.
3	26 ივლისი	ბრაუნშვაიგის ჰერცოგის მანიფესტი.
4	10 აგვისტო	პარიზელთა აჯანყება, საფრანგეთში მონარქიის დამხობა და 1792 წლის პარიზის კომუნის შექმნა.

თემის ძირითად ტექსტს შესანიშნავად ავსებენ:

1. სურათები: – დავიდის ნახატი „ფიცი ბურთის სათამაშო დარბაზში და „ბასტილიის აღება“.

2. რუკები: 10 საფრანგეთი XVIII ს. რევოლუციის დროს და 11 – საფრანგეთი 1792 წ.

3. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს დანართი – ისტორიული წყარო, რომელიც ორი, მეტად საინტერესო დოკუმენტისაგან შედგება, ვფიქრობთ, თემის ძირითადი საკითხების შესწავლისას მათი გარჩევა – გაანალიზება მუხლების მიხედვით დიდ დახმარებას გაუწევს მასწავლებელს.

თემის ლექცია-კომბინირებული მეთოდით შესწავლისას პირველი გაკვეთილი დაეთმობა ლექცია-საუბარს სურათების, რუკების, დანართის და ცხრილის გამოყენებით, მეორე საათი მოსწავლეთა ცოდნის შეფასებას და ცალკეული საკითხების გაღრმავებას. ცხრილის გამოყენება შეიძლება როგორც პირველ, ისე მეორე გაკვეთილზე.

II ვარიანტი – კომბინირებული გაკვეთილის მეთოდით თემის შესწავლისას მიზანშეწონილად მიგვაჩნია სახელმძღვანელოს ტექსტი გაიყოს ორ ნაწილად და გამოიყოს თვითეული მათგანის ძირითადი საკითხები. გეგმის ძირითადი საკითხები შეიძლება იყოს:

I გაკვეთილისათვის:

1. გენერალური შტატების მუშაობის დასაწყისი. მესამე წოდება გენერალურ შტატებში.

2. მეფის პოზიციები. ეროვნული და დამფუძნებელი კრებების ძირითადი მიზნები.

3. 14 ივლისი – რევოლუციის დასაწყისი.

4. კონსტიტუციური მონარქია საფრანგეთში.

5. „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია“ (ისტორიული წყარო).

6. იაკობინთა კლუბის შექმნა.

II გაკვეთილისათვის

1. ვარენის კრიზისი, მისი მიზეზები და შედეგები.

2. 1791 წლის კონსტიტუცია.

3. საკანონმდებლო კრების არჩევა, მისი საგარეო პოლიტიკა.

4. ომის წარუმატებლობის მიზეზები.

5. საკანონმდებლო კრების ღონისძიებანი. მონარქიის დამხობა საფრანგეთში.

საშინაო დავალების განსაზღვრისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თემის ორ დანართს, რომელთა გამოყენება მასწავლებელს შეუძლია თხრობის პროცესში. მოსწავლეთა დამოუკიდებელი აზროვნების განვითარების მიზნით დანართები შეიძლება გამოიყოს საშინაო დავალების სახით.

თემა - 16. პირველი რესპუბლიკა საფრანგეთში

თემის შესწავლას ეთმობა ორი საგაკვეთილო საათი. სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტი, მდიდარი მასალა დანართის სახით, ჩვენი აზრით, განსაზღვრავს სწავლების მეთოდს – ლექცია-კომბინირებული გაკვეთილი მოსწავლეთა აქტივიზაციის გამოყენებით.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მასწავლებელმა გამოიყენოს ისტორიულ მოვლენათა ქრონოლოგიური ცხრილი, რომელიც წინა გაკვეთილზე შესწავლილი ცხრილის ერთგვარი გაგრძელება იქნება. მასწავლებელს შეუძლია ახალი თემის ახსნისას ორივე ცხრილის დემონსტრირება მოახდინოს, რაც ხელს შეუწყობს ისტორიულ მოვლენათა ერთიანობაში მოყვანას.

თემას თან ახლავს რუკა 12, რომლის გამოყენება მასწავლებლის თხრობის პროცესში, აუცილებელ პირობად მიგვაჩნია. თემის შინაარსს მოსწავლეთათვის საინტერესოს და გასაგებს გახდის მოხერხებულად ჩართული რევოლუციის აქტიურ მონაწილეთა პორტრეტები, მათი მოკლე ბიოგრაფიული ცნობებით და ისტორიული წყაროფეოდალურ უფლებათა გაუქმების შესახებ.

შესწავლილი თემის ძირითადი საკითხები შეიძლება იყოს:

1. საკანონმდებლო კრების გადაწყვეტილება კონვენტის არჩევნების შესახებ.

2. ბრძოლა ვალმისთან.

3. დაჯგუფებები კონვენტში, მათი პოზიციები.

4. კონვენტის გადაწყვეტილება ლუი XVI შესახებ, მისი სიკვდილით დასჯა.

5. ანტიფრანგული კოალიციის შექმნის მიზეზები.

6. ანტირესპუბლიკური ამბოხება ვანდეაში და ბრეტანთან.

7. ჟირონდელთა და იაკობინთა შორის ბრძოლის გამწვავება კონვენტში, მისი მიზეზები.

8. 30 მაისის – 2 ივნისის აჯანყება, „ჭაობის“ პოზიციები, იაკობინელთა გამარჯვება.

9. 1793 წლის 24 ივნისის კონსტიტუციის ძირითადი არსი, მისი ხასიათი. (დანართი ისტორიული წყარო).

10. კონვენტის უფლებამოსილების გაგრძელების მიზეზები.

11. იაკობინთა დიქტატურის იურიდიული გაფორმება.

12. რევოლუციური (იაკობინთა) ტერორი საფრანგეთში.

13. იაკობინთა მიერ გატარებული ღონისძიებანი.

14. იაკობინთა ბელადები (დანართის მასალის გამოყენებით).

15. იაკობინთა დიქტატურის სამხედრო წარმატებები.

16. ახალგაზრდა ბურჟუაზიის იაკობინთა წინააღმდეგ გალაშქრების მიზეზები.

17. 9 თერმიდორის სახელმწიფო გადატრიალება.

მასწავლებელს, საკუთარი მოსაზრებით, შეუძლია ცვლილებები შეიტანოს თემის ძირითადი საკითხების ჩამოყალიბებაში.

დასაშვებად მიგვაჩნია, მასწავლებელმა თემის გახსნა და-უკავშიროს ქრონოლოგიური ცხრილითგათვალისწინებულ ისტორიულ მოვლენათა განხილვა-გაანალიზებას.

გთავაზობთ ისტორიულ მოვლენათა ქრონოლოგიურ ცხრილს

№	თარიღი	ისტორიული მოვლენები
1792 წელი		
1	20 სექტემბერი	ბრძოლა სოფ. ვალმისთან, ფედერატების და პარიზის ეროვნული გვარდიელების გამარჯვება
2	სექტემბერი	კონვენტის პირველი სხდომის გახსნა
1793 წელი		
1	21 იანვარი	ლუი XVI სიკვდილით დასჯა
2	30 მაისი-2 ივნისი	კონვენტის სათავეში ჟირონდელები იაკობინებმა შეცვალეს
3	24 ივნისი	კონვენტის მიერ კონსტიტუციის მიღება
4	10 ივლისი	იაკობინთა დიქტატურის იურიდიული გაფორმება
5	აგვისტო	დეკრეტი არმიაში მასობრივი გაწვევის შესახებ
1794 წელი		
1	გაზაფხული	ინტერვენტების განდევნა საფრანგეთის ტერიტორიიდან
2	26 ივნისი	ბრძოლა ფლერიუსთან, ავსტრიელ დამპყრობელთა განდევნა საფრანგეთიდან
3	27 ივლისი (9 თერმიდორი)	იაკობინთა დიქტატურის დაცემა.

საშინაო დავალების განსაზღვრისას საჭიროდ მიგვაჩნია მასწავლებელმა იხელმძღვანელოს იმ კითხვებით, რომელიც თემის ძირითად ტექსტს ახლავს, კითხვები პრობლემური ხასიათისაა და მათზე პასუხის გაცემა ხელს შეუწყობს მოსწავლეთა დამოუკიდებელი აზროვნების უნარ-ჩვევების გამომუშავებას. მეორე გაკვეთილი მთლიანად დაეთმობა მოსწავლეთა ცოდნის შეფასებას, რომლის დროს მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, თუ რაოდენ ღრმად ჩასწვდნენ მოსწავლეები იმ რთულ პრობლემების არსს, რითაც ხასიათდებოდა საფრანგეთის დიდი რევოლუციის განვითარების კულმინაცია და მისი დასასრული. სასურველია მოსწავლეებს საშინაო დავალების სახით მიეცეთ მითითება სახელმძღვანელოში მოცემული რევოლუციის განვითარების ამსახველი ცხრილის შევსების შესახებ, ასეთი სახის დავალება ხელს შეუწყობს ახალი მასალის განმტკიცებას.

თემა - 17. ნაპოლეონის ეპოქა

რესპუბლიკიან იმპერიაში

თემის შესწავლას ეთმობა ერთი საგაკვეთილო საათი, სწავლების მეთოდი - კომბინირებული გაკვეთილი, სახელმძღვანელოში მოცემული რუკის, სურათების და დანართების გამოყენებით. სასურველია მოსწავლეთა აქტივიზაცია მასწავლებლის მიერ მიზანმიმართულად შერჩეული კითხვების საშუალებით.

თემის ძირითადი საკითხები შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

1. 1795 წლის კონსტიტუცია, მისი ძირითადი არსი.
2. თერმიდორული კონვენტის სამხედრო გამარჯვებები 1795 წელს.
3. ნაპოლეონ ბონაპარტის სამხედრო წარმატებები 1796-1797 წლებში.
4. სუვოროვის ლაშქრობები შვეიცარიასა და ალპებში, მისი უკანდახვევის მიზეზი (სურათი, დანართი).
5. ნაპოლეონ ბონაპარტის პარიზში დაბრუნება, 18 ბრიუმერის სახელმწიფო გადატრიალება.

6. 1799 წლის კონსტიტუცია. კონსულობა საფრანგეთში.

7. რუსეთის საგარეო პოლიტიკის კურსის შეცვლის მიზეზები.

ნაპოლეონ ბონაპარტის საომარი წარმატებები 1800-1802 წლებში.

8. 1802-1804 წლების ისტორიული მოვლენები, ნაპოლეონის იმპერატორად გამოცხადება (დანართი).

ურიგო არ იქნებოდა, თუ თხრობის პროცესში მასწავლებელი გაიხსენებს ნაპოლეონის ეგვიპტეში ლაშქრობის ორგანიზაციას და აღნიშნავს, რომ საფრანგეთის ჯარს თან ახლდა მეცნიერთა ჯგუფი, რომელსაც უნდა შეესწავლა ეგვიპტის ისტორიული ძეგლები, ჯარის გადაადგილებისათვის კი განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ვირებს, როგორც გამწევ ძალას. ამიტომ მამლუქების უეცარი გამოჩენისას (რაც არც ისე იშვიათი იყო) გაისმოდა ნაპოლეონის ბრძანება „ვირები და მეცნიერები – შუაში“, რაც უზრუნველყოფდა მათ უშიშროებას.

დროის სიმცირის გამო მიზანშეწონილად მიგვაჩნია დანართში მოცემული სამივე დოკუმენტი მოსწავლეებს მიეცეთ საშინაო დავალების სახით. მასწავლებელს ვთავაზობთ სქემას.

საფრანგეთის ძირითადი საკანონმდებლო აქტები 1791-1804 წლებში

№	თარიღი	იურიდიული აქტი	საკანონმდებლო ხელისუფლება	კანონშემსრულებელი ხელისუფლება
1	2	3	4	5
1	1791წ. სექტემბერი	კონსტიტუცია	საკანონმდებლო კრება	მეფე (შეზღუდული „ივეტოს“ უფლებით)
2	1793წ. ივნისი	კონსტიტუცია	კონვენტი	საზოგადოებრივი ხსნის კომიტეტი, კომისრები
3	1795 წ. აგვისტო	კონსტიტუცია	კონვენტი	დირექტორია

1	2	3	4	5
4	1799წ. დეკემბერი	კონსტი- ტუცია	კონსულები (პირველი კონსულის პრიორიტეტი)	პირველი კონსული
5	1804 წ. მაისი	კონსტი- ტუცია	იმპერატორი	იმპერატორი

სქემის გამოყენება ან მისი შევსება (ისტორიულ მოვლენათა დამატებით) მასწავლებელს შეუძლია საკუთარი მოსაზრებით.

მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს სახელმძღვანელოში მოცემული სქემაც. შინ სამუშაოდ მოსწავლეებს სასურველია დაევალოთ სქემის შევსება.

თემა - 18. პირველი იმპერია საზრანბაოში

თემის შესწავლას ეთმობა ერთი საგაკვეთილო საათი. სწავლების მეთოდი – კომბინირებული გაკვეთილი.

საშინაო დავალების და მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება შეიძლება ფრონტალური კითხვების საშუალებით:

1. როგორი იყო ხელისუფლების დანაწილების პრინციპი 1795 წლის კონსტიტუციის მიხედვით?

2. რამ განაპირობა თერმიდორელთა საომარი გამარჯვებები 1795-1797 წლებში.

3. როგორი იყო 18 ბრიუმერის სახელმწიფო გადატრიალების მიზეზები, მისი შედეგები? როგორია ამ მოვლენების თქვენეული შეფასება.

4. ჩამოთვალეთ ნაპოლეონის საბრძოლო გამარჯვებები 1800-1802 წლებში?

5. როგორია ნაპოლეონის იმპერატორად გამოცხადების თქვენეული შეფასება?

ახალი მასალის, კერძოდ, ნაპოლეონის საგარეო პოლიტიკის ახსნისას მასწავლებელმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს მოსწავლეთა აქტივიზაციას, რასაც იგი მიადწევს სახელმძღვანელოში მოცემულ რუკაზე მოსწავლეთა მუშაობის სხვადასხვა ხერხების გამოყენებით.

საინტერესოა თემის დანართი, „ნაპოლეონი და საქართველო“, რომელიც მოსწავლეთა ყურადღებას ამახვილებს საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობის აქტუალობაზე. დანართის მასალა მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს თხრობის პროცესში, ხოლო თუ ინფორმაციის სრულად გადაცემის საშუალება არ ექნება გაკვეთილის დროის სიმცირის გამო, გამოყოს საშინაო დავალების სახით.

შესასწავლი თემის ძირითადი საკითხები შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

I. ნაპოლეონის საშინაო პოლიტიკა.

1. ფეოდალური პრივილეგიების საბოლოო გაუქმება.
2. სამოქალაქო, სისხლის სამართლის და კომერციული კოდექსი.
3. საფრანგეთის ადგილობრივი მმართველობის სისტემა.
4. საპოლიციო ზედამხედველობა და ცენზურა.
5. საეკლესიო რეფორმა.
6. ღონისძიებები ეკონომიკის შემდგომი განვითარებისათვის.
7. არმია – ნაპოლეონის დასაყრდენი ძალა.

II. ნაპოლეონის საგარეო პოლიტიკა.

1. დამოკიდებულება დაპყრობილ ქვეყნებისადმი.
2. ბრძოლა ტრაფალგართან, მისი შედეგები, მნიშვნელობა.
3. ახალი კოალიცია ნაპოლეონის წინააღმდეგ, მისი წარმოქმნის მიზეზები.
4. ბრძოლა აუსტერლიცთან, რუსეთის ჯარის მონაწილეობა, ბრძოლის შედეგები.
5. 1806-1807 წლების საომარი მოქმედებები, მათი შედეგები. ტილზიტის ზავი.
6. კონტინენტური ბლოკადა, მისი შედეგები ეკონომიკის და პოლიტიკის სფეროში.

გაკვეთილის ბოლო წუთები დაეთმობა მოსწავლეთა ცოდნის შეფასებას და საშინაო დავალების განსაზღვრას. მოსწავლეთა ცოდნის შეფასება უნდა მოხდეს მათ მიერ გაკვეთილზე გამოვლენილი აქტიურობის, პრობლემური საკითხების გადაწყვეტის გათვალისწინებით. საშინაო დავალებას მასწავლებელი განსაზღვრავს საკუთარი შეხედულებებისამებრ.

თემა - 19. პირველი იმპერიის აღსასრული

თემის შესწავლას ეთმობა ორი საგაკვეთილო საათი. სწავლების მეთოდი: 1. კომბინირებული გაკვეთილი, 2. ლექცია-კომბინირებული გაკვეთილი.

თემის კომბინირებული მეთოდით შესწავლისას სახელმძღვა-ნელოში მოცემული ტექსტი იყოფა ორ ნაწილად და შეისწავლება პირველ და მეორე გაკვეთილზე. შესატყვისად, ჩამოყალიბდება თემის ძირითადი საკითხები პირველი და მეორე გაკვეთილისათვის.

ლექცია-კომბინირებული მეთოდით მასალის შესწავლისას პირველი გაკვეთილი დაეთმობა მასწავლებლის ლექცია-საუბარს, მეორე – მოსწავლეთა ცოდნის შეფასებას.

ორივე მეთოდით თემის შესწავლისას მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოსწავლეთა აქტივიზაცია მასწავლებლის მიერ მიზანმიმართულად დასმულ კითხვების გამოყენებით.

თემის დანართების შინაარსი საინტერესო მასალას იძლევა, მისი გამოყენება შეიძლება 1. მასწავლებლის თხრობის პროცესში. 2. საშინაო დავალების სახით.

თემას ახლავს ცნობილი რუსი მხატვრის, ვერეშჩაგინის, ნახატი, რომელიც შესანიშნავად გადმოგვცემს მოსკოვის ხანძრით შეძრწუნებული ნაპოლეონისა და მისი ოფიცრების სახეებს. შთამბეჭდავია ნაპოლეონის გადასვლა ბერეზინაზე. ამ ბრძოლამ დააგვირგვინა რუსეთის გამარჯვება სამამულო ომში, დაიწყო საზღვარგარეთის ლაშქრობები.

კომბინირებული გაკვეთილის მეთოდით თემის შესწავლისას განსახილველი საკითხები.

I გაკვეთილისათვის

1. რუსეთის დამოკიდებულება ცილზიტის ზავის პირობებისადმი და საგარეო პოლიტიკა 1808-1812 წლებში.

2. საფრანგეთის მზადება რუსეთთან ომისათვის და ნაპოლეონის ლაშქრობის დასაწყისი.

3. ნაპოლეონის სტრატეგიული გეგმა რუსეთის ელვისებური დაპყრობისათვის.

4. რუსეთის ჯარის უკანდახევის ძირითადი მიზეზები.

5. მ. ი. კუტუზოვის მთავარსარდლად დანიშვნა, ბრძოლა ბოროდინოსთან.

6. მოსკოვიდან რუსეთის ჯარის გასვლა „18 ოქტომბერს“.

7. ნაპოლეონის უკან დახევა, ბრძოლა ბერეზინაზე.

II. გაკვეთილისათვის

1. ნაპოლეონის იმპერიის რღვევის მიზეზი.

2. „ხალხთა ბრძოლა“ ლაიფციგთან.

3. მოკავშირეთა პარიზში შესვლა, ნაპოლეონის პირველი გადადგომა და გადასახლება.

4. ნაპოლეონის დაბრუნება პარიზში, მისი ბატონობის 100 დღე.

5. ბრძოლა ვატერლოოსთან, ნაპოლეონის მეორე გადადგომა და გადასახლება.

ლექცია-კომბინირებული მეთოდით თემის შესწავლისას ჩვენს მიერ შეთავაზებული ძირითადი საკითხები მასწავლებელმა უნდა გააერთიანოს, (შესაძლებელია საკითხების შეცვლა მასწავლებლის მოსაზრების მიხედვით) და პირველი გაკვეთილი დაუთმოს ლექცია-საუბარს.

საშინაო დავალების განსაზღვრისას მასწავლებელმა, სასურველია გამოიყენოს სახელმძღვანელოში მოცემული კითხვები და სქემა, რომელშიც ვარიანტული ცვლილებების შეტანა მასწავლებლის პრეროგატივაა.

თემის შესწავლას ერთი საგაკვეთილო საათი ეთმობა. სწავლების მეთოდი - კომბინირებული გაკვეთილი. ახალი მასალის ახსნის პროცესში აუცილებელია სახელმძღვანელოში მოცემული რუკის გამოყენება.

თემის ძირითად ტექსტს ახლავს დანართი, რომლის შინაარსი მასწავლებელს შეუძლია 1) ჩართოს საუბრის პროცესში, 2) გამოყოს საშინაო დავალების სახით.

მასწავლებელს ვთავაზობთ შესასწავლი თემის ძირითად საკითხებს.

1. ომების ხანის დასასრული და გამარჯვებული ქვეყნების წარმომადგენელთა შეკრების აუცილებლობა.

2. ვენის კონგრესის მონაწილენი, მათი მუშაობის დაწყება.

3. ვენის კონგრესის მუშაობის სტილი.

4. ინგლისისა და რუსეთის გაძლიერების საფუძვლები.

5. ტალეირანის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები.

6. ინგლის-ავსტრია-საფრანგეთის საიდუმლო ხელშეკრულება. მეტერნიხი და ალექსანდრე I.

7. ტერიტორიული გადანაწილება ვენის კონგრესის გენერალური დასკვნის აქტის მიხედვით.

8. ევროპის სახელმწიფოთა პოლიტიკური მდგომარეობა ვენის კონგრესის შემდეგ.

9. „სალვითო კავშირის“ შექმნის მიზეზები და მიზნები, კავშირში შემავალი სახელმწიფოები.

ახალი მასალის გამტკიცება შეიძლება მასწავლებლის თხრობისა და მოსწავლეთა მიერ სახელმძღვანელოში მოცემულ რუკაზე მუშაობის პროცესში.

საშინაო დავალების განსაზღვრისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს სახელმძღვანელოში მოცემული წინადადება სქემის შედგენის შესახებ. მასწავლებელს ვთავაზობთ სქემის შესაძლო დამატებით ვარიანტს:

1815 წლის ვენის კონგრესის გენერალური აქტი
ტერიტორიული გადანაწილების შესახებ

საფრანგეთი	ინგლისი	რუსეთი	შვეცია	გ ე რ მ ა ნ ი ა		ტერიტორიული გადანაწილების შედეგები
				ავსტრია	პრუსია	

მასწავლებელს დამატებით ვთავაზობთ ცალკეული თემების სწავლების შესაძლო ვარიანტებს, რომელთა პრაქტიკული გამოყენება მისსავე ნება-სურვილზეა დამოკიდებული.

I ვარიანტი. ცალკეული თემებისა და საკითხების შესწავლის შესაძლო გაადვილების მიზნით დასაშვებად მიგვაჩნია საპროგრამო მასალის თემატური გეგმით გათვალისწინებული საგაკვეთილო საათების გადანაწილება. მაგალითად:

I ვარიანტი

1. მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციის და ისტორიულ წყაროების შესწავლას ეთმობა პროგრამულად 2 საათი. დასაშვებად მიგვაჩნია, ერთი საათი დაეთმოს ორივე თემის განხილვას, მომდევნო გაკვეთილზე კი მოხდეს მოსწავლეთა ცოდნის შეფასება და ცალკეული საკითხების განმტკიცება-გადრმავება. სწავლების შემოთავაზებულ ვარიანტი გამართლებულია, თუ გავითვალისწინებთ, რომ მოსწავლეები ძირითადად იცნობენ ისტორიის წყაროებს, რაც ლექცია-საუბრის პროცესში მასწავლებელს ერთგვარად გაუადვილებს ახალი მასალის ახსნას – განმტკიცებას.

II ვარიანტი. სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული მასალის თემატური გეგმა გამოყოფს გამეორება-განზოგადების გაკვეთილებს და შემაჯამებელ გამეორებას.

მასწავლებელს ვთავაზობთ გამეორება-განზოგადების გაკვეთილის ერთ-ერთ ნიმუშს.

თემის „საფრანგეთის დიდი რევოლუციის“ შესწავლის შემდეგ თემის გამეორება-განზოგადობას ერთი საგაკვეთილო საათი

ეთმოზა. ჩვენი აზრით, ამ გაკვეთილზე მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს ისტორიულ მოვლენათა შედარების მეთოდი, რომელიც გამოკვეთს ისტორიულ მოვლენათა შორის საერთო და განმასხვავებელ ნიშნებს.

ამრიგად, საფრანგეთის დიდი რევოლუციის შესწავლის შემდეგ მასწავლებელს შეუძლია შესთავაზოს მოსწავლეებს შემდეგი საკითხები:

1. გაიხსენეთ რევოლუციის წინა პირობები ინგლისსა და საფრანგეთში.

2. რა ნიშნებით განსხვავდებოდა ინგლისის ახალი თავდაზნაურობა საფრანგეთის ბურჟუაზიისაგან?

3. შეადარეთ „ხანმოკლე პარლამენტი“ და გენერალური შტატების შემადგენლობა, მათი მუშაობის სისტემა.

4. იყო თუ არა ერთგვაროვანი ოლივერ კრომველისა და რობესპიერის პოლიტიკური მოღვაწეობა. დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.

5. დაახასიათეთ ორი რევოლუციის შედეგები, გამოყავით საერთო და განმასხვავებელი ნიშნები.

6. შეიძლება თუ არა დამთავრებულად ჩაითვალოს რევოლუციები ინგლისსა და საფრანგეთში? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.

გასამეორებელი კითხვების შეცვლა, დამატება და სახვა სახის კორექტურა მასწავლებლის ნება-სურვილზეა დამოკიდებული.

III ვარიანტი. საყოველთაოდ ცნობილია თუ რამდენად ძნელია მოსწავლეთათვის მნიშვნელოვანი ისტორიული თარიღების დამახსოვრება. პრობლემების გადაწყვეტის ერთ-ერთ საშუალებად მიგვაჩნია ცალკეული თემების შესწავლისას ტესტური მეთოდის გამოყენება. მაგალითად: „XVII ს-ის ინგლისის რევოლუციის“ შესწავლისას მოსწავლეებს შეიძლება შევთავაზოთ ტესტი: როდის დამთავრდა რევოლუციის მშვიდობიანი პერიოდი 1640 წ., 1642 წ., 1645 წ., 1649 წ. რომელია მათ შორის სწორი?

ასეთი ან მსგავსი ტესტების შედგენა-გამოყენებისას მასწავლებელმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს მოსწავლეთა კოლექტივის ცოდნის დონე და შესაძლებლობანი.

ურიგო არ იქნება, თუ მასწავლებელი გეგმაზომიერი მუშაობის შედეგად, შესასწავლი თემების ტესტების კარტოთეკას შეადგენს, ისტორიის სწავლების პრაქტიკამ არაერთხელ დაამტკიცა მოსწავლეთა დიდი ინტერესი ტესტური გამოკითხვისადმი.

უი ნ ა რ ს ი

განმარტებითი ბარათი	3
თემა - 1. მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაცია	5
თემა - 2. ისტორიის წყაროები	7
თემა - 3. ინგლისი XVII-XVIII საუკუნეებში	8
თემა - 4. XVII საუკუნის ინგლისის რევოლუცია	10
თემა - 5. ინგლისის რევოლუციის პოლიტიკური და ეკონომიკური შედეგები	12
თემა - 6. ამერიკის შეერთებული შტატების წარმოქმნა	15
თემა - 7. ომი დამოუკიდებლობისათვის და ამერიკის შეერთებული შტატების შექმნა	17
თემა - 8. რუსეთი XVII ს-ის მიწურულიდან XIX ს-ის დასაწყისამდე	19
თემა - 9. პეტრე დიდისა და მისი მემკვიდრეების საშინაო პოლიტიკა	21
თემა - 10. ეკატერინე II, რუსეთი XVIII-XIX საუკუნე- ების მიჯნაზე	23
თემა - 11. თურქეთი XVII საუკუნის მიწურულიდან 1813 წლამდე	25
თემა - 12. გერმანია XVIII საუკუნეში	27
თემა - 13. საფრანგეთის დიდი რევოლუცია	29
თემა - 14. ფრანგი განმანათლებლობა	30
თემა - 15. საფრანგეთის დიდი რევოლუციის დასაწყისი	34
თემა - 16. პირველი რესპუბლიკა საფრანგეთში	37
თემა - 17. ნაპოლეონის ეპოქა	40
თემა - 18. პირველი იმპერია საფრანგეთში	42
თემა - 19. პირველი იმპერიის აღსასრული	44
თემა - 20. ვენის კონგრესი. „საღვთო კავშირი“	46

